

შ.პ.ს. “ქართული გადახდები“

*მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური
ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს
ფასს) შესაბამისად მომზადებული
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება*

2022 წლის 31 დეკემბერი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშება

ს ა რ ზ ე ვ ი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშება	3
შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების კონსოლიდირებული ანგარიშება	4
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობა.....	5
კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობა	6
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	6



შპს ქართული გადასახდები
დირექტორი

შპს ქართული გადასახდები
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება კონსოლიდირებული ფინანსურ

ორგანიზაციის დასახელება: შპს ქართული გადახდები კონსოლიდირებული

საიდენტიფიკაციო კოდი: 405136785

საანგარიშგებო პერიოდი - 2022 წელი

აქტივები				
	შენიშვნა	2022	2021	2020
ფულადი სახსრები	4	386,582	653,368	249,092
სავაჭრო მოთხოვნები		218,446	209,257	245,677
გადახდილი ავანსები		17,337	2,517	
მარაგი		139,246	235,781	69,295
სხვა მიმდინარე აქტივები	5	200,003	226,248	24,761
ძირითადი საშუალებები	6	796,490	937,702	445,201
-არამატერიალური აქტივები				472
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	7			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა	8	160,000	160,000	
სულ აქტივები		1,918,105	2,424,873	1,034,026

საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
ვალდებულებები	შენიშვნები			
სავაჭრო ვალდებულებები		353,671	131,395	271,977
ვალდებულებები თანამშრომელთა		10,360	16,034	6,866
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		524,837	1,229,351	87,701
სულ ვალდებულებები		890,804	1,376,780	366,544
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი		69,200	220,000	
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		958,101	828,094	667,482
სულ კაპიტალი		1,027,301	1,048,094	667,482
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,918,106	2,424,874	1,034,026

სულ მოკლევადიანი აქტივები		961,615	1,327,172	588,825
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		363,831	147,429	293,843

შპს ქართული გადახდები
დირექტორი



შპს ქართული გადახდები
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშება

შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების
კონსოლიდირებული ანგარიშება

შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშება

	2022	2021
ნეტო ამონაგები	შენიშვნა 3,286,809	3,225,650
- მომსახურების გაწევიდან	3,286,809	3,225,650
რეალიზებული პროდუქციის ღირებულება	(106,353)	(8,300)
საერთო მოგება	3,180,456	3,217,350
სხვა შემოსავალი	116,310	10,528
დასაქმებულთა ანაზღაურება	(215,210)	(219,015)
ცვტა/ამორტიზაცია	(134,319)	(143,425)
საპროცენტო ხარჯი	(18,820)	(39,856)
იჯარის ხარჯი	(21,300)	(21,000)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(2,636,728)	(2,587,369)
სულ საოპერაციო ხარჯი	(2,910,067)	(3,000,137)
სულ საოპერაციო მოგება	270,389	217,213
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(127,997)	67,238
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი	142,391	284,451
ოპერაციებიდან	(1,858)	(18,576)
მოგების გადასახადი	140,534	265,876
მოგება/ზარალი	140,534	265,876
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	140,534	265,876
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	140,534	265,876
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	828,093	667,482
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(10,526)	(105,263)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-	958,101
		828,093



შპს ქართული გადახდები
დირექტორი

შპს ქართული გადახდები
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშება

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	2022 წელი 31 დეკემბერი	2021 წელი 31 დეკემბერი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	142,391	284,451
კორექტირებები:		
ცვეთა და მორტიზაცია	134,319	143,425
მოგება/ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	276,711	427,877
კლება/ზრდა:		
ცვლილებები მარაგში	96,535	(166,487)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(24,009)	33,902
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	222,276	(140,582)
მიმდინარე აქტივი/ვალდებულება	26,245	(201,487)
ვალდებულება თანამშრომლების მიმართ	(5,674)	9,168
მოგების გადასახადი	(1,858)	(18,576)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	590,226	(56,184)
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(11,948)	(644,226)
ძირითადი საშუალების გასვლა	20,776	8,300
გრძელვადიანი ინვესტიციები შვილობილ საწარმოში		
გრძელვადიანი ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	-	(160,000)
კაპიტალის ცლილება	(150,800)	220,000
გაცემული/მიღებული დივიდენდი	(10,526)	(105,263)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(152,498)	(681,189)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	(704,514)	1,141,650
გაცემული სესხები		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(704,514)	1,141,650
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(266,786)	404,276
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	653,368	249,092
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	386,582	653,368

შპს ქართული გადახდები
დირექტორი



შპს ქართული გადახდები
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშება

კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობა

კაპიტალის მოძრაობა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	15,000	499,438	514,438
მიმდინარე პერიოდის მოგება		158,594	158,594
კაპიტალის ცვლილება	(15,000)		(15,000)
გაცემული დივიდენდი		(11,765)	(11,765)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		21,215	21,215
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	667,483	667,483
მიმდინარე პერიოდის მოგება		265,876	265,876
კაპიტალის ცვლილება	220,000		220,000
გაცემული დივიდენდი		(105,263)	(105,263)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	220,000	828,095	1,048,095
მიმდინარე პერიოდის მოგება		140,532	140,532
კაპიტალის ცვლილება	(150,800)		(150,800)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			-
გაცემული დივიდენდი		(10,526)	(10,526)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	69,200	958,101	1,027,301

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ქართული გადახდები“ -ს (შემდგომში „კომპანია“) წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს-ის) შესაბამისად 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ კომპანია დაარეგისტრირა 2016 წლის 18 თებერვალს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო 405136785.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის აქციებს ფლობდა ორი აქციონერი

01019070144, ალექსანდრე ლაგვილაძე - 50%

01019021223, გიორგი კვაჭანტირაძე - 50%

შპს ქართული გადახდები
დირექტორი



შპს ქართული გადახდები
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშება

კომპანიის დირექტორი გიორგი კვაჭანტირაძე პ/ნ 01019021223.

2021 წლის 1 სექტემბერიდან შპს „ქართული გადახდები“ წარმოადგენს მშობელ საწარმოს და ფლობს შპს ეი ჯი ფროფერტის (ს/კ : 400316831) წილების 100%-ს.

ასევე 2021 წლის 7 სექტემბერიდან შპს ქართული გადახდები მეკავშირე საწარმოს წარმოადგენს შპს ვიპს (ს/კ 405349430), სადაც კომპანია ფლობს წილების 14%-ს.

წარმოდგენილ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შპს ქართული გადახდებისა და შპს ეი ჯი ფროფერტის ფინანსური ანგარიშგებები.

კომპანიის ძირითადი სამეწარმეო საქმიანობა 2021 წელს წარმოადგენს საფინანსო მომსახურების სხვა საქმიანობები, სადაზღვევო და საპენსიო ფონდების გარდა, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი.

შპს „ქართული გადახდები“ წარმოადგენს კვალიფიციურ სუბიექტს, როგორც საგადასახადო აგენტი, მას მინიჭებული აქვს უფლება ეროვნული ბანკისგან აწარმოოს გადასახადების მიღება და რეგისტრირებულია შესაბამის სიაში. (რომელიც გამოქვეყნებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე).

მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ე.წ. სწრაფი ჩარიცხვის აპარატის საშუალებით გადახდების მიღება.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დავით თავხელიძის ქ., N 1, სადარბაზო 2, ბინა N508

კომპანიის ფაქტიური მისამართია საქართველო, თბილისი, გურამიშვილის გამზ. 70/3.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვა

ამ ფინანსური ანგარიშგების შესადგენად გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები განხილულია ქვემოთ.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტისა(მსს ფასს)“ და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხების გადაყვანა კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ეკონომიკური გარემოს ძირითადი ვალუტა, სადაც კომპანია საქმიანობს, კერძოდ კომპანიის სამუშაო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ლარი.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო თარიღისთვის გადაყვანილია ლარში, ამ თარიღისთვის დადგენილი გასაცვლელი სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები ასახულია ოპერაციის

შპს ქართული გადახდები
დირექტორი



შპს ქართული გადახდები
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშება

თარიღისთვის დადგენილი გასაცვლელი სავალუტო კურსით. სარგებელი ან ზარალი, რომელიც წარმოქმნილია ამგვარი ოპერაციებისთვის განხორციელებული ანგარიშსწორების შედეგად და უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივების და ვალდებულებების ლარში გადაყვანით აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გასაცვლელი სავალუტო კურსი იყო:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარი/ლარი	3.0976	2.0702

ამჟამად, ლარი არ წარმოადგენს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას საქართველოს ფარგლებს გარეთ.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად. სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ვინაიდან არ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებები, ფინანსურ ანგარიშგებაში ისინი აღრიცხულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია მოკლევადიან მოთხოვნებად.

მარაგები. მარაგები ასახულია თვითღირებულებასა და გაყიდვების დანახარჯებით შემცირებულ, შეფასებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს შესყიდვის და სხვა დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მარაგის ადგილამდე ტრანსპორტირებისა და ახლანდელ მდგომარეობაში მოსაყვანად.

ყოველი ანგარიშგების თარიღისთვის ხდება მარაგების შეფასება გაუფასურების გამოსავლენად. იმ შემთხვევაში, თუ მარაგი გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე და მოგებაში ან ზარალში დაუყოვნებლივ აღიარდება გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები ასახულია თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

კომპანიის ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას მაშინ ამატებს მისი შემცველი ნაწილების თვითღირებულებას, როდესაც მოხდება დანახარჯების გაწევა, თუ

შპს ქართული გადახდები
ღირექტორი





შპს ქართული გადახდები
მთავარი ბუქალტერი



**2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშება**

მოსალოდნელია, რომ შემცვლელი ნაწილი კომპანიას მომავალში მოუტანს სარგებელს. შემცვლელი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. სარემონტო და ტექნოლოგიურებასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი აისახება მოგება ან ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც დანახარჯები გაიწევა.

აქტივებს ცვეთა იმგვარად ერიცხება რომ აქტივის თვითღირებულება, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, განაწილდეს მათ შეფასებულ სასარგებლო მომსახურების ვადაზე, კერძოდ წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები მერყეობს შემდეგ საზღვრებში:

მანქანა დანადგარები - 5 - 10 წელი

ოფისის აღჭურვილობა - 5-10 წელი

ავეჯი და სხვა ინვენტარი - 5 - 10 წელი

სატრანსპორტო საშუალება - 10 - 15 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები იმ შემთხვევაში გადაიხედება და პერსპექტიულად დაკორექტირდება, თუ არსებობს ნიშანი იმისა, რომ მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო სააღრიცხვო თარიღის შემდგომ.

აქტივების საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ასანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე მისი შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება.


აქტივების გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება შემოსულობის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში.

არამატერიალური აქტივები. არამატერიალურ აქტივებს შეზღუდული მომსახურების ვადა აქვს და ძირითადად მოიცავს შემენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიებს, რომლებიც ასახულია თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.


არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით, მათი შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება ისეთი ქონებაა, რომელსაც კომპანია ფლობს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გასაყიდად ან საიჯარო შემოსავლების მიღების, ან ღირებულების გაზრდის, ან ორივე მიზნებით და კომპანიას არ აქვს თვითონ დაკავებული/გამოყენებული. საინვესტიციო ქონება ასევე მოიცავს მშენებარე აქტივებსაც, რომლებიც გამოწეულია მომავალში საინვესტიციო ქონების სახით გამოსაყენებლად.

შპს ქართული გადახდები
დირექტორი



შპს ქართული გადახდები
მთავარი მენეჯერი



საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით და შემდგომში ხელახლა შეფასდება რეალური ღირებულებით, რათა აისახოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული საბაზრო პირობები. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება არის ფასი, რომლითაც შეიძლება ქონება გაიცვალოს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით განხორციელებულ ოპერაციაში. „გარიგების მსურველი გამყიდველი“ არ არის იძულებული გამყიდველი, რომელიც მზად არის ქონება გაყიდოს ნებისმიერ ფასად. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა იმავე ადგილას და იმავე მდგომარეობის მქონე ანალოგიური ქონების აქტიური ბაზრის მიმდინარე ფასები. თუ არ არსებობს აქტიური ბაზრის მიმდინარე ფასები, კომპანია ითვალისწინებს სხვადასხვა წყაროდან მოპოვებულ ინფორმაციას, მათ შორის:

ა) განსხვავებული ხასიათის, მდგომარეობის ან განსხვავებულ ადგილა მყოფი ქონების აქტიური ბაზრის მიმდინარე ფასებს, რომლებიც დადკორექტირდება ამ განსხვავებების ასახვის მიზნით;

ბ) ანალოგიური ქონების უახლესი პერიოდის ფასებს ნაკლებად აქტიურ ბაზრებზე, რომლებიც დაკორექტირდება ეკონომიკურ პირობებში მომხდარი ცვლილებების ასახვის მიზნით იმ ოპერაციების თარიღის შემდეგ, რომლებიც განხორციელდა ამ ფასებით;


კომპანიის საინვესტიციო ქონება განისაზღვრება დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშგების საფუძველზე, რომელთაც გააჩნიათ აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და უახლესი პერიოდის გამოცდილება ანალოგიურ ადგილას მდებარე ანალოგიური კატეგორიის ქონების შეფასების საკითხში.

მარაგების გარდა სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურება. ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება ცვეთადი და ამორტიზებადი აქტივების შეფასება იმის დასადგენად, არსობობს თუ არა რაიმე ნიშნები მათი გაუფასურების. თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ ესა თუ ის აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს, შემოწმდება ამ აქტივის (ან იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელიც მოცემული აქტივი განეკუთვნება) საბალანსო ღირებულება გაუფასურებაზე. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ ოდენობით, რომლითაც მისი საბალანსო ღირებულება აღემატება ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გამოყენების ღირებულებასა და დაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის. გაუფასურების შეფასების მიზნით აქტივები ჯგუფდება ყველაზე დაბალ დონეებად, რომელთათვისაც არსებობს განცალკევებით იდენტიფიცირებადი ფულადი ნაკადები(ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). გაუფასურებული არაფულადი აქტივები, გუდვილის გარდა, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის განიზილება გაუფასურების შესაძლო აღდგენის დადგენის მიზნით.

შპს ქართული გადახდები
დირექტორი



შპს ქართული გადახდები
მთავარი ბუღალტერი



2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშება

ანარიცხები ვალდებულებებისა და დანახარჯებისთვის. ვალდებულებებისა და დანახარჯებისათვის შექმნილი ანარიცხი არაფინანსური ვალდებულებაა, რომელთა დაფარვის ვადა ან ოდენობა გაურკვეველია. მათი დარიცხვა ხდება, როდესაც კომპანიას აქვს წარსული მოვლენების შედეგად წარმოქმნილი მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქტიული ვალდებულება. მოსალოდნელია, რომ მის დასაფარად აუცილებელი იქნება კომპანიიდან რესურსების გასვლა, რომელშიც განიცთებულია ეკონომიკური სარგებელი და ვალდებულების ოდენობის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. თუ შედეგი არსებითია, ანარიცხები განისაზღვრება სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტორებით დაბეგვრამდელი განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და აუცილებლობის შემთხვევაში კონკრეტული ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს.

სავაჭრო ვალდებულება. სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით.

სააქციო კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც საკუთარი კაპიტალი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მომსახურების გაწევიდან მიღებულ ან მისაღებ ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

კომპანია მაშინ აღირებს ამონაგებს, როდესაც: შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ კომპანიაში შემოვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი; და დაკმაყოფილებულია კომპანიის შესაფერისი კრიტერიუმი: კომპანია ძირითადი საქმიანობა მოიცავს სამედიცინო, საქმიანობას, რომელიც წამოადგენს შემოსავლის მიღების ძირითად წყაროს.

მოგებიდან გადასახადი. მოგებიდან გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია კანონმდებლობის იმ დებულებების შესაბამისად, რომლებიც ძალაში შესულია ან არსებითად ძალაში შესულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. 2017 წლის 1 იანვრამდე კომპანიის მოგების გადასახადის ხარჯი/(შემოსავალი) შედგებოდა მიმდინარე და გადავადებული გადასახადისგან და აღიარდა წლის მოგება ან ზარალში.

2016 წლის 13 მაისს ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები, რომლის თანახმად კომპანიებს(ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდების გარდა) არ ევალებათ მოგებისა გადახდა 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ მიღებული მოგებიდან, სანამ ეს მოგება არ განაწილდება დივიდენდის სახით ან კომპანიას არ ექნება დივიდენდის სახით მისი განაწილების განზრახვა.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშგებო პერიოდში დაგროვილი მოგებიდან გაცემული დივიდენდები მოგების გადასახადით იბეგრება გადაანგარიშებული ღირებულების მიხედვით, რომელსაც აკლდება შესაბამისი საგადასახადო აქტივი,

შპს ქართული გადახდები
დირექტორი



შპს ქართული გადახდები
მთავარი ბუღალტერი

**2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშება**

გამოთვლილი, როგორც დასაბეგრი მოგების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის ხვედრითი წილი იმავე პერიოდის მთლიანი წმინდა მოგების მიმართ, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო აქტივის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მოგების გადასახადის ფაქტობრივ ოდენობას, რომლითაც დაიბეგრება განაწილებული დივიდენდები.

დივიდენდების გადახდის შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა დივიდენდები, დივიდენდების გაცემის ფაქტობრივი თარიღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლისთვისაც ხდება დივიდენდების გადახდა.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოსთვის გადასახდელია შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელი თარიღით (ა) მომხმარებლებისგან მოთხოვნის თანხების ამოღება ან (ბ) მომხმარებლებისთვის საკონლოს ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი, როგორც წესი, ანაზღაურდება რეალიზაციასთან დაკავშირებულ დღგ-სთან მიმართებით, დღგ-ს ანაზღაურების ინვოისის მიღების მომენტში. საგადასახადო ორგანოები დღგ-ს ანგარიშშორების უფლებას იძლევა ნეტო საფუძველზე. შესაბამისად, რეალიზაციასთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ არის დაფარული, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ნეტო საფუძველზე.

დივიდენდების განაწილება. კომპანიის დამფუძნებლებზე დივიდენდების განაწილება აღიარდება, როგორც იმ პერიოდის ვალდებულება, რომელშიც დამფუძნებლები დაამტკიცებენ დივიდენდებს.

გაცემული სესხები. გაცემული სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალების ამა თუ იმ ობიექტის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება ხელმძღვანელობის განსჯის საგანია და ეყრდნობა ანალოგიური აქტივების გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოცემული აქტივის მოსალოდნელი გამოყენების წესს, მისი ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და ფიზიკურ გარემოს, რომელშიც აქტივი გამოიყენება. ამ პირობებიდან ან შეფასებებიდან რომელიმეს შეცვლამ, შესაძლოა გამოიწვიოს მომავალ პერიოდებში ცვეთის განაკვეთების კორექტირება.

3. ინფორმაცია განუსაზღვრელობის შეფასებისა და ხელმძღვანელობის მსჯელობის ძირითადი წყაროების შესახებ

მპს ქართული გადახდები
ღირეექტორი



მპს ქართული გადახდები
მთავარი ბუქალტერი

**2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშება**

ფუნქციონირებადი საწარმო ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციისა და ვალდებულების შესრულებას კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ფუნქციონირებადობის უარის შეფასებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მისი საქმიანობის შედეგები, კომპანიის ახლანდელი მიზნები და მომავლის შესახებ თავისი მოლოდინები.

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

4. ფულადი სახსრები

	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
ნაღდი ფული	74,349	87,182	89,423
ლარი საბანკო ანგარიშზე	312,230	566,178	159,662
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშზე	4	7	7
	<u>386,582</u>	<u>653,368</u>	<u>249,092</u>

5. მიმდინარე აქტივები

	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
საგადასახადო აქტივი	3	26,248	24,761
მოკლევადიანი სესხი გაცემული მეკავშირე საწარმოზე	200,000	200,000	-
	<u>200,003</u>	<u>226,248</u>	<u>24,761</u>

6. ძირითადი საშუალებები

	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
შენობები	739,741	775,291	399,110
რემონტი		-	35,926
მანქანა-დანადგარები	290,578	307,975	159,190
აპარატების სარემონტო დეტალები	3,932	9,096	9,002
ოფისის აღჭურვილობა	310	310	310
ავეჯი და სხვა ინვენტარი	76,446	64,848	44,984
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა			3,785
იჯარით აღებული ფართი-2-ის კეთილმოწყობა	108,785	108,785	108,785
ცვეთის ხარჯი	<u>(423,302)</u>	<u>(328,604)</u>	<u>(316,363)</u>
	<u>796,490</u>	<u>937,702</u>	<u>444,729</u>

8. ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში

160,000

შპს ქართული გადახდები ფლობს შპს ვიკს (ს/კ 405349430) 14% იან წილს 2021 წლის 7 სექტემბრიდან

შპს ქართული გადახდები
დირექტორი



შპს ქართული გადახდები
მთავარი მენეჯერი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშება

ინვესტორის ოპერაციები მეკავშირე საწარმოსთან. არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიშობა ინვესტორსა და მეკავშირე საწარმოს შორის განხორციელებული „ქვემოდან ზემოთ“ (აქტივის გადაცემა მეკავშირე საწარმოდან ინვესტორისთვის) და „ზემოდან ქვემოთ“ (აქტივის გადაცემა ინვესტორიდან მეკავშირე საწარმოსთვის) ოპერაციების შედეგად, ინვესტორის ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირდება მხოლოდ მეკავშირე საწარმოში ინვესტორის კუთვნილი წილის ტოლი სიდიდით. ამგვარი ოპერაციებიდან მიღებული არარეალიზებული ზარალი შესაძლოა მიუთითებდეს გადაცემული აქტივის გაუფასურებაზე. ვინაიდან კომპანიებს შორის არ არსებობს შიდა ჯგუფური ოპერაციები, არ მომხადა ოპერაციების ელიმინირება კონსოლიდაციის პროცესში.

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგებაში, მოგება და ზარალის ანგარიშგებასა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგებაში, მოგება და ზარალის ანგარიშგებასა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში არსებული თანხები მშობელი საწარმოს წილის შესაბამისად, ასევე ინვესტიციის ოდენობა მეკავშირე საწარმოში.

შპს ქართული გადახდები
დირექტორი



შპს ქართული გადახდები
მთავარი ბუღალტერი

